

შპს ქი მენეჯმენტ სოლუშენს

2018 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის
ფინანსური ანგარიშგება

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია	7
2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები	12
4. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის	13
5. ძირითადი საშუალებები	13
6. არამატერიალური აქტივები	14
7. მარაგები	14
8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
9. ფული და ფულის ექვივალენტები	15
10. მიღებული სესხები	16
11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16
12. საგადასახადო ვალდებულებები	16
13. შემოსავალი	17
14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	17
15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან	17
16. ოპერაციები ხელმძღვანელ მხარესთან	18
17. ბალანსის შემდგომი მოვლენები	18

შპს ქი მენეჯმენტ სოლუშენს
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება


ლარი	მენიშვნა	31 დეკემბერი, 2018წ	31 დეკემბერი, 2017წ
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	*1	95,726	33,467
არამატერიალური აქტივები		252	
საინვესტიციო ქონება	*2	240,894	216,833
ბიოლოგიური აქტივი			
სულ გრძელვადიანი აქტივები		336,872	250,301
მიმდინარე აქტივები			
გაცემული სესხები			
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	*3	152,939	110,049
ფული და ფულის ეკვივალენტები	*4	12,970	61,253
მარაგები	*5		
სულ მიმდინარე აქტივები		165,909	171,301
სულ აქტივები		502,780	421,602
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
კაპიტალი		77,000	1,500
დაგროვილი მოგება		378,406	418,680
სულ საკუთარი კაპიტალი		455,406	420,180
გრძელვადიანი ვალდებულებები			
ფინანსური იჯარის ვალდებულება			
გადავადებული საგადასახადო			
ვალდებულებები (მოგება)			
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
მიმდინარე ვალდებულებები			
მიღებული სესხები	*6	30,238	
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	*7	17,137	1,422
საგადასახადო ვალდებულებები	*8		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		47,375	1,422
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		502,780	421,602

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით
მენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია
წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 08-19 გვერდებზე

შპს ქი მენეჯმენტსოლუშინს
2018 წლის მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ღარი	შენიშვნა	2018	2017
ამონაგები	*9	2,279,339	2,402,748
რეალურად პრედუქციის ფიქსირებული			
საერთო მოგება		2,279,339	2,402,748
საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	*10	(2,314,012)	(2,357,809)
რეალური და მიწის ხარჯები			
საოპერაციო საშუალოდ მიღებული მოგება		(34,673)	44,939
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი			
სხვა არასაოპერაციო ხარჯი			
კურსთა შორის სხვაობიდან მიღებული მოგება (ზარალი), ნეტო		1,894	(15,806)
ბირთვით საშუალების რეალური მიღებული მოგება/(ზარალი)			(30,417)
ფინანსური ხარჯი		(7,495)	(11,295)
ფინანსური შემოსავალი			
მოგება დებუდამდე		(40,274)	(12,579)
მოგების გადასახადის ხარჯი			
წმინდა მოგება/ზარალი		(40,274)	(12,579)
სხვა სრული შემოსავალი			
სულ სრული შემოსავალი		(40,274)	(12,579)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მისი სახელით ხელმოწერილია 2018 წლის 31 აგვისტოს:

 31.08.2019

მაია წერეთელი

დირექტორი



მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით მენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განყოფილ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 08-19 გვერდებზე

შპს ქი მენეჯმენტ სოლუშენს
 2018 წლის კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება/ზარალი	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2017	1,500	-	418,680	420,180
კაპიტალის ზრდა	75,500			75,500
წლის წმინდა მოგება			(40,274)	(40,274)
ნაშთი 31 დეკემბერი 2018	77,000	-	378,406	455,406

კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 08-19 გვერდებზე.

შპს ქი მენეჯმენტ სოლუშენს

ლარი	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2018წ
საოპერაციო საქმიანობა		
მომხმარებლებისგან მიღებული ფულადი სახსრები		2,528,054
მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები		- 2,132,664
სხვა		- 630,786
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი სახსრები		- 235,396
გადახდილი მოგების გადასახადი		-
ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		- 235,396
საინვესტიციო საქმიანობა		
მიღებული პროცენტი		-
მიღებული დივიდენდები		-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ნეტო ფულადი სახსრები		-
საფინანსო საქმიანობა		
ფულადი სახსრების შემოსვლა კაპიტალის გაზრდით		75,500
ფულადი სახსრების შემოსვლა სესხებიდან		910,994
სესხის ძირის გადახდა		-780,756
სესხის პროცენტის გადახდა		- 18,625
დივიდენდების გადახდა		-
ნეტო ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		187,112
ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში		- 48,283
ფულადი სახსრები წლის დასაწყისისთვის		61,253
ფულადი სახსრები წლის ბოლოს		12,969.60

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება წაკითხულ უნდა იქნას მასზე დართულ განმარტებით შენიშვნებთან ერთად, რომლებიც ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენენ და განთავსებულია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების 08-19 გვერდებზე

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს ქი მენეჯმენტ სოლუშენს (205288213) წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობის ქვეშ მოქმედ კომპანიას, რომლის ძირითადი საქმიანობაა:

- კადრების შერჩევა როგორც ადგილობრივი ბაზრისათვის, ასევე საზღვარგარეთის ბაზრებისათვის
- კადრების “აუტოსორსინგი” ადგილობრივი და საერთაშორისო კომპანიებისათვის, რაც გულისხმობს სახელფასო მომსახურების უზრუნველყოფასაც
- ტრენინგები სასტუმრო და საკადრო სფეროში
- კონსულტაცია სასტუმრო და საკადრო სფეროში

კომპანიის დაარსების თარიღია 24/09/2009. ორგანიზაციას თანაბარი წილის მფლობელი 2 დამფუძნებელი ჰყავს: თამარ ბექსი (პ.ნ# 453617360) და მაია წერეთალი (პ.ნ 01007002832). მაია წერეთელი კომპანიის დირექტორია წესდების თანახმად მიმდინარე პერიოდის ჩათვლით.

კომპანიის შემოსავლების დიდი ნაწილი არის სახელფასო მომსახურებისათვის მიღებული შემოსავლები, რომელთა უმეტესი ნაწილი ირიცხება დაქირავებული კადრების ხელფასების სახით და მოგების მარჟა საკმაოდ მცირეა. თანამედროვე დასაქმების ბაზარზე ევროპის, ამერიკის და მსოფლიოს წამყვანი ქვეყნები იყენებენ კადრების აუტოსორსინგულ მომსახურებას, როდესაც აუტოსორსინგული კომპანია ქირაობს კადრებს რომელთა მიწოდება ხდება სხვადასხვა კომპანიებისათვის დაკვეთის საფუძველზე და აუტოსორსინგული კომპანია ახდენს სრულ საკადრო მომსახურებას დაქირავების, ტრენინგის, ხელფასების, დაზღვევის და ყველა მომსახურების ჩათვლით ხელშეკრულების ფარგლებში.

მარეგისტრირებული ორგანოა თბილისის საგადასახადო ინსპექცია.

იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თბილისის, ვაკის რაიონში, ი.აბაშიძის, №44 ბ.18

ფაქტიური მისამართი - საქართველო, ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის 7D

2. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა მოცემულია ქვემოთ.

2.1 წარდგენის საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს, 2018 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ის მიხედვით მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების საანგარიშო ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში. ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება. კორექტირებები, რამაც სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებები გამოიწვია, მიეკუთვნება იმ პერიოდის ფინანსურ

შპს ქი მენეჯმენტ სოლუშენს - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

შედეგებს, როცა ეს ცვლილებები გატარდა. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების შესახებ განმარტებები მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

2.2 მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება

მოცემული ანგარიშგება არის კომპანიის მიერ მსს ფასს-ების მიხედვით მომზადებული პირველი ფინანსური ანგარიშგება და გამოყენებული იქნა მსს ფასს-ის 35-ე განყოფილება, „მსს ფასს-ზე გადასვლა“. ფინანსური ანგარიშგების მსს ფასს-ებზე გადასვლის თარიღია 2018 წლის 1 იანვარი.

2018 წლის 1 იანვრამდე კომპანია ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებდა ადგილობრივ პრაქტიკაში მიღებული სააღრიცხვო პრინციპების შესაბამისად.

2.3 ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (საოპერაციო ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

ბ) უცხოური ვალუტის კონვერტირება

უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად, წლის ბოლოსათვის. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად.

მონეტარული მუხლების კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის მუხლში „მოგება/ (ზარალი) საკურსო სხვაობიდან, წმინდა“. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2018 და 2017 წლის 31 დეკემბერს უცხოურ ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ოფიციალური გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2018 წლის 31 დეკემბრისთვის	2.6766	3.0701
2017 წლის 31 დეკემბრისთვის	2.5922	3.1044

2.4 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს მსს ფასს-ის მე-17 განყოფილების - ძირითადი საშუალებები - შესაბამისად.

ძირითადი საშუალების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შემენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

შემდგომი დანახარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი

შპს ქი მენეჯმენტ სოლუშენს - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

ძირითადი საშუალებები აღირიცხება ისტორიულ ღირებულებას, დაგროვილ ცვეთასა და გაუფასურების ზარალს შორის სხვაობის თანხით. ცვეთა ერიცხება აღნიშნულ აქტივთა ჯგუფს, მთლიანად მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. კომპანია იყენებს ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდს ძირითადი საშუალებების ყველა ჯგუფისათვის. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება შემდეგნაირად:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადები
შენობა ნაგებობები	20 წელი
საოფისე აღჭურვილობა	3-9 წელი
ავეჯი და სხვა ინვენტარი	3-9 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	5-10 წელი

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ხდება აქტივის ნარჩენი ღირებულებისა და მომსახურების ვადის გადახედვა, და საჭიროების შემთხვევაში, მათი შეცვლა.

აქტივის გასვლასთან დაკავშირებული მოგება და ზარალი განისაზღვრება შემოსულობების შედარებით საბალანსო ღირებულებასთან, და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება წმინდა თანხით, როგორც სხვა მოგება/ზარალი.

2.5 არამატერიალური აქტივები

აქტივის თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით, მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი.

ამორტიზაციის გამოთვლა ხდება ცვეთის წრფივად დარიცხვის მეთოდით, სასარგებლო მომსახურების ვადები განისაზღვრება 5-10 წლით.

კომპანიის არამატერიალური აქტივი წარმოადგენს სააღრიცხვო პროგრამებს.

2.6 ფინანსური ინსტრუმენტები

თავდაპირველი აღიარება

პირველად აღიარებისას ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასდება გარიგების ფასით (გარიგების დანახარჯების ჩათვლით, ისეთი ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებებისა გარდა, რომლებიც შემდგომში უნდა შეფასდეს რეალური ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში ასახვით).

თუ შეთანხმება ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, საწარმო ფინანსური აქტივს ან ფინანსური ვალდებულებას აფასებს მომავალი გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც დისკონტირებულია მსგავსი სავალო ინსტრუმენტისთვის გამოყენებული საბაზრო საპროცენტო განაკვეთით და განისაზღვრება თავდაპირველი აღიარებისას.

სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც კლასიფიცირებულია, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, შეფასებულია გადასახდელი ან მისაღები ფულადი სახსრების ან სხვა სახის კომპენსაციის არადისკონტირებული ღირებულებით (ანუ გაუფასურების გამოკლებით), იმ შემთხვევის გარდა, როდესაც შეთანხმება შინაარსით ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

გაყიდვების უმრავლესობა ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე ხდება და მისაღები თანხა არ გულისხმობს პროცენტს.

შპს ქი მენეჯმენტ სოლუშენს - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

საწარმო ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე ობიექტური მტკიცებულება იმ ფინანსური აქტივების გაუფასურების, რომლებიც შეფასებულია თვითღირებულებით ან ამორტიზებული ღირებულებით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს გაუფასურების ობიექტური მტკიცებულება, საწარმო გაუფასურების ზარალს დაუყოვნებლივ აღიარებს მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები არის ნორმალური საკრედიტო პირობების საფუძველზე წარმოქმნილი ვალები და არ გულისხმობს საპროცენტო განაკვეთს

სესხები

სესხები შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. საპროცენტო ხარჯი ჩართულია ფინანსურ ხარჯში.

2.7 გადასახადები

მიმდინარე მოგების გადასახადის ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სამეურნეო სუბიექტის მიერ მიღებული წლიური მოგება 2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში არ იბეგრება. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, შეწირულობებზე, ზენორმატიულ დანაკარგებზე, ბიზნესთან დაუკავშირებელ დანახარჯებზე და სხვა. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით და რომელ პერიოდზე მოხდა დივიდენდების გადახდა.

საქართველოში ასევე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადი, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები არის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების კომპონენტი, კერძოდ ქონების გადასახადი აისახება საოპერაციო გადასახადებში.

2.8 ფული და ფულის ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს სალაროში, ფულს ბანკში, დეპოზიტებს რომელთა თავდაპირველი ვადაც მაქსიმუმ 90 დღეა და თავისუფალია ყოველგვარი საკონტრაქტო დატვირთვებისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები საწყისად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდეგ ამორტიზებადი ღირებულებით.

2.9 მარაგები

კომპანია უწყევს მომსახურებას თვის კონტრაქტორ ორგანიზაციებს რომელიც არ მოითხოვს რიმე სახის მასალების და ნედლეულის/მარაგების ქონას, შესაბამისად მას არ აგაჩნია რაიმე სახის მარაგები

2.10 საგარანტიო ანარიცხები

ანარიცხების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას წარსული მოვლენის გამო აქვს მიმდინარე (იურიდიული თუ არაკონტრაქტული) ვალდებულება, მოსალოდნელია, რომ კომპანიას მოეთხოვება ამ ვალდებულების დაფარვა და შესაძლებელია ვალდებულების ოდენობის სათანადო სიზუსტით განსაზღვრა.

ანარიცხებად აღიარებული ოდენობა წარმოადგენს იმ თანხის ყველაზე ზუსტ შეფასებას, რომელიც საჭირო იქნება მიმდინარე ვალდებულების დასაფარად ანგარიშგების პერიოდის ბოლოსთვის, ამ ვალდებულებასთან დაკავშირებული რისკებისა და გაურკვევლობების გათვალისწინებით. როდესაც ანარიცხები ფასდება მიმდინარე ვალდებულების გასასტუმრებლად საჭირო ფულადი ნაკადებით, მისი საბალანსო ღირებულება არის ამ

ფულადი ნაკადების დღევანდელი ღირებულება (თუ ფულის დროითი ღირებულების გავლენა მასზე არსებითია).

2.11 შემოსავალი

საწარმო ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, საიდანაც გამოქვითულია საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

საქონლის გაყიდვა

ზოგადად საქონლის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკსა და სარგებელს; თუმცა კომპანიის ძირითად საქმიანობას არ წარმოადგებს საქონლის მიწოდება, გარდა ძირითადი საშუალების რეალიზაციისა მის ოპერაციებში არ ირიცხება საქონლის მიწოდების შემთხვევები

მომსახურების გაწევა

საწარმო ამონაგებს აღიარებს მომსახურების ხელშეკრულების შესრულების სტადიის მიხედვით, როცა შესაძლებელია ამონაგების ოდენობის საიმედოდ შეფასება და მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა საწარმოში.

2.12 ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებული დანახარჯები

საწარმომ ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირ დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

2.13 აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის საწარმომ განსაზღვრავს, არსებობს თუ არა რაიმე მინიშნება აქტივის გაუფასურების შესახებ. თუ არსებობს ასეთი ნიშანი, საწარმო აფასებს აქტივის ანაზღაურებად ღირებულებას და ადარებს მის საბალანსო ღირებულებას. თუ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია მის საბალანსო ღირებულებაზე, საწარმო ამცირებს საბალანსო ღირებულებას ანაზღაურებად ღირებულებამდე. ასეთ შემთხვევაში, ღირებულების შემცირების ოდენობა წარმოადგენს გაუფასურების ზარალს, რაც დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საწარმო ყოველი მომდევნო საანგარიშგებო თარიღისთვის ხელახლა აფასებს მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ გასაყიდ ფასს. როდესაც აღარ არსებობს მარაგის გაუფასურების გამომწვევი გარემოებები, ან, შეცვლილი ეკონომიკური ვითარების გამო, არსებობს მტკიცებულება, რომ მარაგის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული გასაყიდი ფასი გაიზრდება, საწარმო აღადგენს გაუფასურების თანხას (უკუგატარებით) (ე.ი. კორექტირების თანხა შეზღუდულია თავდაპირველი გაუფასურების ზარალის ოდენობამდე) იმგვარად, რომ ახალი საბალანსო ღირებულება იყოს უმცირესი, თვითღირებულებასა და მისი დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ, შესწორებულ გასაყიდ ფასს შორის.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებებისა და გადაწყვეტილებების გადახედვა ხდება მუდმივად, გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს მომავალ პერიოდში მოსალოდნელ მოვლენებსაც. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

4. კორექტირება წარდგენის მიზნებისათვის

2018 წლის ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ პირველად წარადგინა მსს ფასს-ების მიხედვით. კომპანია ცვეთას ითვლიდა საგადასახადო მოგების (ზარალის) განსაზღვრისათვის. წარდგენის მიზნებისთვის დაკორექტირდა მიმდინარე და წინა წლების ცვეთა და ამორტიზაცია, რათა ის თანხვედრაში ყოფილიყო საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნებთან.

შპს „ქართული საწარმო“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2017 წლის 31 დეკემბრისა და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შენიშვნა: 1

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	მანქანა-დანადგარები	ავჯი და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2017	216,833		2,200	83,498	302,531
შემოსვლა			94,806	21,314	116,120
გადაფასება	24,061				24,061
გასვლა			(46,258)		(46,258)
31 დეკემბერი 2018	240,894	-	50,748	104,812	396,454
ცვეთა და გაუფასურება					
31 დეკემბერი 2017			(28,248)	(19,605)	(47,853)
პერიოდის ცვეთა			(3,224)	(8,758)	(11,982)
გასვლა					-
31 დეკემბერი 2018	-	-	(31,472)	(28,363)	(59,835)
წმინდა საბალანსო ღირებულება					
31 დეკემბერი 2017	216,833	-	2,200	83,498	302,531
31 დეკემბერი 2018	240,894	-	50,748	104,812	396,454
ნეტო საბალანსო ღირებულება: 336,619					

შენიშვნა 2

საინვესტიციო ქონება

2018

რეალური ღირებულება 1.01.2018

216,833

მოგება/(ზარალი) რეალური ღირებულების ცვლილებიდან

24,061

რეალური ღირებულება 31.12.2018

240,894

საინვესტიციო ქონება რეალური ღირებულებით ფასდება ყოველი წლის 31 დეკემბერს

შპს „ქართული საწარმო“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

6. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები 2017 წლების 31 დეკემბრისა და 2018 წლის 1 იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასაშვები ღირებულება	პროგრამული უზრუნველყოფა	სულ
დასაშვები ღირებულება 31.12.2017	0	0
შემოსვლა	315	315
გასვლა		
დასაშვები ღირებულება 31.12.2018	315	315
წმინდა საბალანსო ღირებულება		
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2017	0	0
წმინდა საბალანსო ღირებულება 31.12.2018	315	315

7. მარაგები

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე ვინაიდან ის უწევს მომსახურებას სხვადასხვა კლიენტ ორგანიზაციებს რომელიც რაიმე მარაგთან არაა დაკავშირებული, მისი მარაგები პერიოდის დასაწყისსა და პერიოდის ბოლოს = 0

შენიშვნა 5

მარაგები

	2018
ნედლეული და მასალები	
დაუმთავრებელი წარმოება	
მზა პროდუქცია	
სულ	0

კომპანიის მიერ მიწოდებული მომსახურებები არ საიჭიროებს რაიმე სახის ნედლეულის და მასალის დანახარჯებს, შესაბამისად მას არ გააჩნია მარაგები აღნიშნულ პერიოდზე

შპს „ქართული საწარმო“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

8. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

შენიშვნა 3

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	152,939
გადახდილი ავანსები	
მოთხოვნა დაკავშირებული მხარეებისადმი	
დაკავშირებულ მხარეზე გაცემული სესხი	
სულ	152,939

კომპანიას ჰყავს სულ რამოდენიმე კლიენტი ორგანიზაცია რომელთანაც აქტიურად თანამშრომლობს და ყოველთვის იფარება მოთხოვნები, რის გამოც კომპანიას არ აქვს გაუფასურების ზარალის დადგენის აუცილებლობა

9. ფული და ფულის ეკვივალენტები

შენიშვნა 4

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2018
ნაღდი ფული და მოთხოვნამდე ანგარიშები	
მოკლევადიანი საბანკო დეპოზიტები	
სულ	(12,970)
	2018
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	12,970
საბანკო ოვერდრაფტი (შენიშვნა 10)	
სულ	12,970

კომპანიის ძირითადი საანგარიშწორებო ანგარიშია აქვს თიბისი ბანკში, მიმდინარე წლიდან სალაროს ოპერაციები თითქმის ნულამდეა დაყვანილი, არ ფლობს დეპოზიტებს და ანაზრებს

შპს „ქართული საწარმო“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

10. მიღებული სესხები

შენიშვნა 6

მიღებული სესხები

	2018
საწყისი ნაშთი	0
მოკლევადიანი სესხები თიბისი # 2007024-8830753	(5,000)
მოკლევადიანი სესხები თიბისი # 2007024-9551480	(775,756)
გადახდილი სესხის ძირი	810,994
საბოლოო ნაშთი	30,238

სესხებისთვის საკრედიტო ხაზი აქვს გახსნილი კომპანიას 200000 ლარიანი ლიმიტით თიბისი ბანკში, საპროცენტო განაკვეთი შეადგენს წლიურ 12%.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

შენიშვნა 7

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2018
სავაჭრო ვალდებულებები	17,137
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი	
მიღებული ავანსები	
სულ	17,137

12. საგადასახადო ვალდებულებები

შენიშვნა 8

საგადასახადო ვალდებულებები

	2018
სულ დარიცხული საგადასახადო ვალდებულება	(659,397)
სულ გადახდილი საგადასახადო ვალდებულება	665,047
სულ	5,649

შპს „ქართული საწარმო“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

13. შემოსავალი

შენიშვნა 9

ამონაგები

	2018
საქონლის გაყიდვა	
მომსახურების გაწევა /ადგილობრივი	1,664,271
სხვა	615,068
სულ	2,279,339

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

კომპანიის უდიდეს ხარჯს წარმოადგენს კადრების ანაზღაურების/სახელფასო ხარჯი რომლის მიწოდებასაც ის ახდენს კლიენტ ორგანიზაციებზე.

შენიშვნა 10

საერთო და ადმინისტრაციული

ხარჯები

	2018
ხელფასები	
სხვა	(1884639)
	(429373)
სულ	(2314012)

15. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

კომპანიას აკონტროლებს ფიზიკური პირი მაია წერეთელი, რომელიც ფლობს წილის 50%, დანარჩენ 50%-ს ფლობს სხვა ფიზიკურ პირი. კომპანია არ ფლობს წილებს სხვა კომპანიებში, არ ჰყავს შვილობილი ორგანიზაცია.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელდა შემდეგი პერაციები:

მომსახურების მოწოდება:

	2018
მეკავშირე საწარმო	4,082
სულ	4,082

შპს „ქართული საწარმო“ - ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

(ციფრები ცხრილებში მოცემულია ლარში)

16. ოპერაციები ხელმძღვანელ მხარესთან

დირექტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება	2018
შრომის ანაზღაურება მთლიანად	63763
სულ	60,663

17. ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომ ნიშნელოვან მოვლენებს ადგილი არ ჰქონია.